§ რუსული ისტორიული მეცნიერება XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

ნ. კარმაზინის ისტორიული კონცეფცია და მისი კრიტიკა

ნიკოლოზ მიხეილის ძე კარამზინი (1766-1826) ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა რუსულ ისტორიოგრაფიაში. ძალიან სიმბოლურია, რომ მისი ცხოვრების წლები დაემთხვა XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისს. ეს იყო დრო როცა ისტორია წარსულის შესახებ ცნობების შეგროვების ხელოვნებიდან ყალიბდებოდა მეცნიერებად და თვითონ კარამზინის ფიგურა რომელმაც გაიარა გზა მწერალ-სენტიმენტალისტობიდან მეცნიერ-ისტორიკოსობამდე ამ პროცესის აშკარა ილუსტრაციას წარმოადგენს. კარამზინის თანამედროვე ა. პუშკინი აღფრთოვანებული იყო მისი ნიჭით და აღნიშნავდა: ,,ძველი რუსეთი აღმოჩენილ იქნა კარამზინის მიერ როგორც ამერიკა კოლუმბის მიერ".

როგორც ფილოსოფოსი კარამზინისთვის უფრო ახლოს იდგა იმ განმანათლებლების იდეები რომლებიც ფასეულობის ძირითად კრიტერიუმად არა გონებას არამედ გრძნობას მიიჩნევდნენ. ამ მიმართულებამ მიიღო სენტიმენტალიზმის სახელი. მისი გამოჩენილი წარმომადგენელი იყო ჟან ჟაკ რუსო, რომელიც ამტკიცებდა, რომ ჭეშმარიტება მიიღწევა არა გონებით არამედ გულით. გონება თრგუნავს და ამდაბლებს ადამიანს ხოლო შინაგანი გრძნობა ამაღლებს და აკეთილშობილებს.

კარამზინი დაიბადა 1766 წლის 1 დეკემბერს ციმბირელი მემამულის ოჯახში. განათლება მიიღო მოსკოვის კერძო პანსიონში. პეტერბურგში ხანმოკლე სამხედრო სამსახურის შემდეგ ახალგაზრდა კარამზინი დასახლდა მოსკოვში და გახდა ჟურნალ ,,საბავშო საკითხავები გულისა და გონებისთვის" (,,Детское чтение для сердца и разума") თანამშრომელი. აქ ის დაუკავშირდა მასონებს, მათ დიდი გავლენა მოახდინეს კარამზინის მსოფლმხედველობასა და ლიტერატურულ გემოვნებაზე.

ევროპაში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ (1789 მაისიდან -1790 ნოემბერი; გერმანია, შვეიცარია, ინგლისი, რევოლუციური საფრანგეთი), კარამზინი დაბრუნდა მოსკოვში და კვლავ დაკავდა ლიტერატურული საქმიანობით. 1791-92 წწ. მისი შრომები იბეჭდებოდა ,,მოსკოვის ჟურნალში" რომელიც იყო ლიტერატურული სენტიმენტალიზმის მთავარი ცენტრი. საკუთარი შთაბეჭდილებები ევროპული მოგზაურობის შესახებ მწერალმა გადმოსცა ,,რუსი მოგზაურის წერილებში" (Письма русского путешесвенника) სადაც რევოლუციური ევროპის შემსწრე ამბობდა, რომ ყველაფერში საჭიროა ზომიერება. ,,ყველანაირი ძალადობრივი ძვრები დამღუპველია, და ყოველი მემაბოხე თავისთვის იმზადებს ეშაფოტს".

ალექსანდრე I-ის გამეფების შემდეგ კარამზინი დაუბრუნდა ჟურნალისტურ საქმიანობას (მოსკოვის ჟურნალი დაიხურა 1792 წელს ნოვიკოვის დაპატიმრებასთან ერთად) გახდა რა 1802-1803 წწ ლიტერატურულ პოლიტიკური ჟურნალის ,,ევროპის მაცნე" გამომცემელი და რედაქტორი. ამავდროულად მან დაისახა მიზანი შეექმნა ნაშრომი რუსეთის ისტორიაზე. ერთ-ერთ თავის წერილში ის აღიარებს ,,მე ყურებამდე ჩავეფლე რუსულ ისტორიაში, მძინავს და ვხედავ ნიკონს ნესტორთან ერთად". 1803 წელს კარამზინმა ალექსანდრე I-ს შესთავაზა თავისი სამსახური სრული ისტორიის დასაწერად, სთხოვა მილერის და შერბატოვის მსგავსად დაენიშნა ოფიციალურ ისტორიოგრაფად და მიეღო დაშვება საარქივო მასალებთან. 1803 წლის 31 ოქტომბერს სპეციალური საიმპერატორო ბრძანებით 37 წლის კარამზინის თხოვნა დაკმაყოფილდა და ის შეუდგა მუშაობას ,,რუსეთის სახელმწიფოს ისტორია"-ზე (,,История государство Российского").

1818 წ. გამოვიდა ამ ისტორიის პირველი 8 ტომი. კარამაზინის თხზულებას ჰქონდა კოლოსალური წარმატება სამ კვირაში გაიყიდა 3000 ეგზემპლარი.

კარამზინი თავის მთავარ შრომას წერდა მთელი ცხოვრება, თხრობა მიიყვანა ვასილი შუისკის ჩამოგდებამდე და მის შემდგომ დამდგარი უმეფობის პერიოდამდე. ნაშრომი ისტორიოგრაფმა მიუძღვნა ალექსანდრე I-ს შემდეგი სიტყვებით: ,,ხალხის ისტორია ეკუთვის მეფეს".

,,რუსეთის ისტორიაში" მოყვანილი იყო 350 ავტორი და ისტორიული თხზულება. მის შესაქმნელად კარამზინმა გამოიყენა 40 მატიანე (შერბატოვთან - 21) ზოგიერთი მათგანი პირველად იქნა გამოყენებული. მათ გარდა კვლევაში გამოიყენა ძველი რუსული ლიტერატურის (კირილე ტუროვსკის, დანილ ზატოჩნიკის) და სამართლის ძეგლები (,,კორმჩაია კნიგა", საეკლესიო დადგენილებები, ნოვგოროდის სასამართლო სიგელი, ივანე III-ის სამართლის წიგნი) სპეციალური თავი კარამზინმა მიუძღვნა ,,რუსულ სამართალს".

მრავალრიცხოვანი წყაროები გამოყენებული ნაშრომში, კრიტიკული შენიშვნები ისტორიკოსის მიერ მოყვანილი იყო შენიშვნებში. კარმაზინი თავისუფლად ,,ექცეოდა" თვითონ ისტორიის ტექსტს, თხრობა ჰქონდა მხატვრული თუმცა ამავე დროს ინარჩუნებდა თხრობის დოკუმენტალურ დასაბუთებას. კარამზინის შენიშვნები ცალკე, ფასეულია დღემდე, რამდენადაც წყაროების ნაწილი რომლითაც სარგებლობდა ისტორიკოსი (მაგალითად ,,ტროიცკის მატიანე") დაკარგულ იქნა.

ისტორიულ-პოლიტიკურ პროგრამას რომლითაც ხელმძღვანელობდა ,,რუსეთის ისტორიის" წერისას კარამზინი დაწვრილებით აყალიბებს ,,ჩანაწერი ძველი და ახალი რუსეთის შესახებ" (Записке о древней и новой России), რომელიც 1811 წელს გადაეცა იმპერატორს. ამ პროგრამის მთავარ ელემენტს წარმოადგენდა რუსული სახელმწიფოს მონარქიული ფორმით შენარჩუნება. ,,რუსეთი იქმნებოდა გამარჯვებებით ... და გადარჩა ბრძნული თვითმპყრობელობით" წერდა კარამზინი. თანამედროვე რუსეთში თვითმპყრობელობა ეყრდნობოდა თავადაზნაურობას რომელთა უფლებებს და პრივილეგიებს ასაბუთებდა იმით, რომ ,,თავადაზნაურობა და სამღვდელოება, სენატი და სინოდი როგორც კანონების საცავი, ხელმწიფე ერთადერთი კანონმდებელი, ერთადერთი წყარო ხელისუფლების. აი რუსული მონარქიის საფუძველი".

კარამზინთან მონარქიული ხელისუფლების განვითარებით განისაზღვრება რუსული ისტორიის პერიოდიზაციაც. შესავალ ნაწილში იგი აკრიტიკებდა შლიოცერს მისი პერიოდიზაციის გამო აღნიშნავდა: ,,უფრო უკეთ, ნამდვილად და მოკრძალებულად ჩვენი ისტორია იყოფა: უძველეს პერიოდად, რიურიკიდან იოანე III-მდე, შუა პერიოდად იოანე III-დან პეტრე I-მდე და ახალ პერიოდად პეტრე I-დან ალექსანდრე I-მდე". პირველი პერიოდის სახასიათო თავისებურებად ისტორიკოსი თვლიდა სამამულო სისტემას (удел) მეორის-ერთმმართველობას და მესამის სამოქალაქო ჩვეულებების ცვლილებას.

,,რუსულ ისტორიაში" კარამზინი არ იცავდა საკუთარ პერიოდიზაციას და მთელ თავისი ნაშრომს ყოფდა თავებად, რომლებიც შეესაბამებოდა დიდ სამთავროებს. ტექსტის სტრუქტურიდან გამომდინარე შეიძლება გამოვყოთ წარსულის ის პერიოდიზაცია, რომლითაც სარგებლობდა სინამდვილეში კარამზინი. დრო 862 წლამდე ეხებოდა რუსეთის უძველეს ისტორიას. აღმოსავლეთ სლავებში მწერალი ხედავდა ,,ბუნებრივ ხალხს", რომელიც ცივილიზაციისგან არ იყო გარყვნილი, მაგრამ იყვნენ არა ველურები არამედ გულკეთილი, სტუმართმოყვარე და კეთილგონიერი ხალხი. მოყავდა რა მემატიანეთა ცნობები აღმოსავლეთ სლავების განსახლების შესახებ, კარამზინი ასკვნიდა მათი წარმომავლობაზე ,,თუ სლავები და ვენედები შეადგენდნენ ერთ ხალხს მაშინ ჩვენი წინაპრები ცნობილი იყვნენ ბერძნებისთვის და რომაელებისთვის, ცხოვრობდნენ რა ბალტიის ზღვის სამხრეთით".

რუსული სახელმწიფოს აყვავების პერიოდი გრძელდება 862 წლიდან 1015 წლამდე ,,მთავართა მოწოდებიდან" (მოწვევიდან) ვლადიმირ სვიატოსლავის ძის გარდაცვალებამდე, რომელმაც დაყო სახელმწიფო მამულებად (удел). კარამზინი აღიარებდა ნორმანულ თეორიას, მთავრების ,,მოწვევას", აღნიშნავდა, რომ ნოვგოროდელებმა მოიწვიეს რა ვარიაგები საფუძველი

დაუდეს მონარქიულ სახელმწიფოებრივ წყობას რუსეთში. ამ პერიოდის სხვა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რუსების ,,მოქცევა", რომელშიც კარამზინი ხედავდა ქვეყნის კეთილდღეობის ზნეობრივ საფუძველს.

1015 წლიდან 1238 წლამდე პერიოდში მოხდა თვითმპყრობელობის გაქრობა, პერიოდი შინაომების, მონღოლ-თათართა შემოსევის, სვიატოპოლკ ვლადიმირის ძიდან იაროსლავ II ვსევოლოდის ძემდე. ამ პერიოდის შიგნით კარამზინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა იაროსლავ ბრძენს, რომელმაც სახელმწიფო გაუყო შვილებს, ამრიგად დააქუცმაცა ქვეყანა. რუსული მიწის გადარჩენას ერთპიროვნული ხელისუფლების დამყარებით შეეცადა ანდრეი ბოგოლუბსკი, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ კვლავ დაიწყო შინაომები რამაც გამოიწვია მონღოლ თათრების მიერ რუსეთის დაპყრობა, ეს კი თავის მხრივ გახდა ევროპის ქვეყნებისგან მისი ჩამორჩენის მიზეზი.

რუსული სახელმწიფოს დაცემის პერიოდი, მონღოლ-თათრების უღელი, რუსეთის გაერთიანება და აღორძინება მოსკოვის მთავრების ხელისუფლების ქვეშ გრძელდება 1238 წლიდან 1462 წლამდე, იაროსლავ II ვსევოლოდის ძიდან ივანე III-მდე. თათრების უღელმა კარამზინის მიხედვით გამოიწვია არა მხოლოდ სახელმწიფო დამოუკიდებლობის დაკარგვა არამედ ხალხის ზნეობრივი გახრწნაც. ,,ჩვენ ვისწავლეთ მონობისთვის დამახასიათებელი მდაბიო ეშმაკობები", მაგრამ უღელს დადებითი მომენტიც ჰქონდა, სხვა შემთხვევაში რუსეთი დაიღუპებოდა მთავართა შინაომებით და მეზობლების მიერ იქნებოდა დანაწევრებული. ივანე კალიტადან დაიწყო უმაღლესი მონარქიული ხელისუფლების განმტკიცება და განვითარება.

თვითმპყრობელობის განმტკიცების პერიოდი მოდის 1462-1533 წწ. ესაა ივანე III და ვასილი III მთავრობის პერიოდი. ივანე III-ს კარამზინი გმირად თვლიდა არა მხოლოდ რუსეთის, არამედ მსოფლიო ისტორიის მასშტაბით. მას პეტრე დიდზე წინ აყენებდა.

ივანე მრისხანეს და თევდორე ივანეს ძის მეფობის პერიოდი მოიცავს 1533-1598 წწ. ივანე მრისხანის მცირეწლოვნობის პერიოდს ისტორიკოსი ახასიათებდა როგორც მმართველობის არისტოკრატიულ ეტაპს. აფასებდა რა თვითონ ივანე IV მეფობას, კარამზინმა განამტკიცა მისი ორ ურთიერთსაწინააღმდეგო პერიოდად დაყოფის ტრადიცია: 1560 წლამდე (ანასტასიას გარდაცვალება) ქვეყნის ბრძნული მმართველობის დრო სილვესტრეს და ადაშევის დახმარებით და 1560-1584 წლები როცა მეფის თვითმპყრობელობა იქცა ტირანიად. IX ტომის გამოსვლას რომელიც მოიცავდა ივანე მრისხანეს მეფობას საზოგადოება განსაკუთრებული მოუთმენლობით ელოდა. როგორც კარამზინი აღიარებდა იმპერატორ ალექსანდრე I-თან, მისი ისტორიის IX ტომში აღწერილი იყო იმდენად საშინელი მოვლენები, რომ ძნელი იყო მისთვის გადაეწყვიტა მისი გამოქვეყნება, მაგრამ დაადგინა რა ცენზორად საკუთარი სინდისი, ავტორმა გამოსცა ეს ტომი სადაც მკაცრად ამხელდა ისეთ მმართველობას როგორიც იყო ტირანია.

,,ისტორიის" აღწერა წყდებოდა არეულობის ხანაზე (Сму́тное вре́мя) (1598-1613) რომლის აღწერა კარამზინს არ დასცალდა ბოლომდე. აქ ის განსჯიდა ბორის გოდუნოვს და ამბობდა, რომ არისტოკრატიის მრავალთავიანმა ჰიდრამ ვასილი შუისკის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ ქვეყანა მიიყვანა დაღუპვის პირამდე.

XVII-XVIII საუკუნეების რუსეთის ისტორიისადმი კარამიზნის დამოკიდებულებაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ ნაშრომით ,,ჩანაწერი ძველი და ახალი რუსეთის შესახებ" (Записка о древней и новой России в ее политическом и гражданском отношениях). ის აღნიშნავდა, რომ პირველი რომანოვების მეფობა ხასიათდებოდა რუსეთის დაახლოებით დასავლეთთან, რომელიც ხდებოდა თანდათან და ოდნავ შესამჩნევად. პეტრე I-დან დაიწყო ძველი დადგენილებების და წესების ძალადობრივი მსხვრევა ასე, რომ ,,ლტოლვამ ჩვენთვის ახალი წესებისადმი გადააბიჯა კეთილგონიერების საზღვრებს". პეტრეს შემდეგ დაიწო თვითმპრობელობის შესუსტება, განმტკიცებული ტრადიციული დადგენილებების მსხვრევით, პატრიარქობის გაუქმებით, რანგთა ტაბელის შემოღებით, რომელმაც დარტყმა მიაყენა

არისტოკრატების წოდებრივ კარჩაკეტილობას. და მაინც პეტრე I ,,მძლავრი ხელით კვებავდა სახელმწიფოს'' მის შემდეგ ,,პიგმეები დაობდნენ გოლიათის მემკვიდრეობაზე''.

ახალი ეტაპი რუსეთისთვის იყო ეკატერინე II-ს მმართველობა. თუმცა მისი განმანათლებლური ზეობის დროს სახელმწიფო დაწესებულებებში არსებობდა ,,საფუძვლიანზე მეტი ბრწყინვალება''.

ისტორიოგრაფიაში დიდხანს და მტკიცედ დანერგა კარამზინმა პავლე I-ის მეფობის შეფასება, რომელმაც ისტორიკოსის სიტყვით ,,დაიწყო მეფობა საყოველთაო საშინელებით ისე, რომ არ მისდევდა არანაირ წესდებას, გარდა საკუთარი ავხორცობისა'' და ამით შეარყია სამეფო ხელისუფლების პრესტიჟი.

კარამზინი ცდილობდა ტირანიის გარეშე თვითმპრობელობის კონცეფცია ნიკოლოზ I-თვის შთაენერგა. შეშფოთებულმა და შეძრულმა დეკაბრისტების გამოსვლით ,,რუსი ლიბერალების უაზრო ტრაგედიით'', იპოვა თავის თავში ვაჟკაცობა მიემართა ნიკოლოზ I-თვის ამბოხებულთა შეწყალებით, განუცხადა რა მეფეს ,,შეცდომა და დანაშაული ამ ახალგაზრდა ხალხის არის ჩვენი საუკუნის შეცდომის და დანაშაულის არსი''. თუმცა ნიკოლოზი რომელიც ძალიან დიდ პატივს სცემდა მეცნიერს იყო ახალი ეპოქის ადამიანი მისთვის უცხო იყო რომანტიკული სენტიმენტები.

გარდაცვალებამდე კარამზინი წერდა ,,შეიძლება მე ვცდები, მაგრამ ჩემი სინდისი მშვიდია, საყვარელ სამშობლოს არ შეუძლია რამე მისაყვედუროს. მე ყოველთვის მზად ვიყავი მისი სამსახურისთვის საკუთარი პიროვნების დამცრობის გარეშე''. ეს სიტყვები იყო პასუხი ისტორიკოსის იმ დავებზე რომლებიც გაჩნდა მისი ,,ისტორიის'' გარშემო გამოქვეყნებიდან მალევე. დავა შემთხვევითი არ იყო და გამოწვეული იყო თვითონ კარამზინის შეხედულებების ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათის გამო.

კარამზინის კრიტიკოსებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა **ნიკოლოზ ალექსეის ძე პოლევოი** (1796-1846) რომელსაც ზოგჯერ მიაწერენ სკეპტიკურ სკოლას, თუმცა რუსულ ისტორიოგრაფიაში მას საკუთარი გზა ჰქონდა.

პოლევოი ვაჭრის შვილი იყო. ახალგაზრდობაში მან მიიღო მოუწესრიგებელი და ძირითადად დამოუკიდებელი განათლება. მამა კომერციული საქმიანობისთვის ამზადებდა, 15 წლის ასაკიდან ის დადიოდა სავაჭრო დავალებებით მოსკოვსა და პეტერბურგში. მოსკოვში მან მოისმინა კაჩენოვსკის რამდენიმე ლექცია ხოლო 1817 წელს განეკუთვნება უკვე მისი პირველი ლიტერატურული გამოცდილება. 1822 წელს მამის გარდაცვალების შემდეგ გადასახლდა მოსკოვში და მეტად არ დაკავებულა სავაჭრო საქმეებით, დაკავდა ჟურნალისტიკით და 1825 წელს დაარსა ეპოქის ერთ-ერთი ბრწყინვალე ჟურნალი ,,მოსკოვის ტელეგრაფი''.

1829 წელს ,,მოსკოვის ტელეგრაფში'' პოლევოიმ განათავსა სტატია ,,კარამზინის რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის შესახებ'' (Об ,,Истории государства Российского'' Карамзина) რომელშიც განაცხადა, რომ ეს თხზულება მოძველდა, რომ ,,კარამზინი იყო ლიტერატორი, ფილოსოფისი, ისტორიკოსი წინა საუკუნის ძველი, არა ჩვენი თაობისა'', რომ ისტორიის ჭეშმარიტი იდეა მიუწვდომელია კარამზინისთვის. სხვათაშორის ამ კრიტიკული სტატიის გამოჩენამ გამოიწვია ჟურნალიდან ა. პუშკინის და პ. ვიაზემსკის წასვლა.

კარამზინის სახელმწიფოს ისტორიის საპირწონედ პოლევოიმ ჩაიფიქრა შეექმნა საკუთარი ისტორიული ნაშრომი და გამოაცხადა ხელმოწერა თავის 12 ტომეულზე. (საბოლოო ჯამში გამოქვეყნდა მხოლოდ 6 ტომი სადაც თხრობა მიდის ივანე მრისხანის მიერ ყაზანის აღებამდე) თავის ნაშრომს უწოდა პოლევოიმ ,,რუსი ხალხის ისტორია'' განაცხადა რა წინასიტყვაობაში, რომ ,,შეიძლება არსებობდეს მხოლოდ რუსი ხალხის და არა რუსეთის სახელმწიფოს ისტორია''. ასეთი მიდგომა იმითაც იყო ახსნილი, რომ რუსეთის სახელმწიფოს ისტორია ავტორის აზრით იწყება მხოლოდ მონღოლ თათართა უღლის გადაგდების შემდეგ და რახან აქამდე სახელმწიფო არ არსებობდა უნდა ვისაუბროთ ხალხის ისტორიაზე.

პოლევოი საუბრობდა ისტორიისადმი ფილოსოფიური მიდგომის შესახებ, რაც მოიცავდა მოვლენათა ცვლილებების განმსაზღვრელი ფაქტორების სიღრმისეული საფუძვლების დასაბუთებას და ახსნას, კარამზინის საპირისპიროდ, რომელთანაც ისტორია განიხილება როგორც ცალკეული მოვლენების და ცალკეული სახელმწიფო მოღვაწეების ცვლა.

,,რუსი ხალხის ისტორია'' პოლევოიმ მიუძღვნა ბარტოლდ გეორგ ნიბურს (გერმანელი ისტორიკოსი ანტიკოსი, ნოვატორი წყაროს კრიტიკის დარგში), უწოდებდა მას ,,ჩვენი საუკუნის პირველ ისტორიკოსს''. თავის თავს კი მიაწერდა კრიტიკული წყაროთმცოდნეობის დამცველს. თვითონ პოლევოი კარამზინზე უკეთ ერკვეოდა წამყვანი დასავლეთ ევროპელი მოაზროვნეების იდეებში. მისი ,,ისტორიის ფილოსოფია'' უფრო მდიდარია. ის საუბრობდა სახელმწიფოს და ხალხის ისტორიული განვითარების კანონების და გზების ერთიანობის შესახებ, უთითებდა, რომ ყველა მოვლენა ისტორიაში შეადგენს ერთიან მთლიანს, ყოველ მათგანს აქვს მიზეზი და შედეგი, მისი აზრით ადამიანთა საზოგადოების განვითარება მიდის წინ სპირალურად, არ იმეორებს განვლილს, მაგრამ ილტვის თავის განვითარებაში ახლისკენ და სრულყოფისკენ. პროგრესული განვითარების ამ კანონს აქვს საყოველთაო და სავალდებულო ხასიათი ყველა ხალხებისთვის. ისტორიკოსის ამოცანად პოლევოის მიაჩნდა რუსეთის და დასავლეთის ქვეყნების განვითარების ერთნაირი ეტაპების დადგენა (საუკუნის სულისკვეთება) და ყველა ხალხების არსის განსაზღვრაში (ხალხის სულისკვეთება). თუ კაცობრიობის ისტორია პოლევოის მიხედვით არის ბრძოლა დასავლეთს და აღმოსავლეთს შორის მაშინ რუსეთი ,,ქმნიდა სრულიად განცალკევებულ სამყაროს, რაღაც შუალედურს ევროპას და აზიას შორის . . . ''

პოლევოის მეთოდოლოგიური ხერხები და კონკრეტულ ისტორიული დასკვნები უსწრებდა დროს თუმცა უნდა აღინიშნოს თავის იდეებს აყალიბებდა რთულად გასაგები ენით. უკავშირებდა რა რუსულ ისტორიას დასავლეთევროპულს პოლევოი გვთავაზობს რუსეთის წარსულის საკუთარ პერიოდიზაციას: პირველი ისტორიული პერიოდი 862-1054 იყო ,,ნორმანული ფეოდალური ისტორიის პერიოდი'' (ფეოდალიზმის ქვეშ გაგებული იყო არა წარმოების საშუალებები არამედ სახელმწიფოს დაქუცმაცებულობა). მეორე პერიოდს 1055-1224 წწ. უწოდებდა ოჯახურ ფეოდალიზმს, მას საფუძველი ჩაუყარა იაროსლავმა რომელმაც მიწები გადასცა შვილებს. მესამე პერიოდი 1224-1505 წწ. დადგა მონღოლთა დაპყრობების შედეგად და გრძელდება ივანე III გარდაცვალებამდე რომლის დროსაც რუსეთი გათავისუფლდა უღლისგან და იქცა სახელმწიფოდ. მეოთხე პერიოდი – თვითმპყრობელობის – გრძელდება პეტრე I-მდე. მეხუთე პერიოდი დაიწყო პეტრე დიდიდან საიდანაც იწყება რუსეთის როგორც ,,ევროპული სახელმწიფოს ისტორია''.

ამრიგად თავის პერიოდიზაციაში პოლევოი ახლო იყო რუსეთის ისტორიის დაყოფის იმ ტრადიციულ სქემებთან, რომელიც ჰქონდათ მის წინამორბედებს, თუმცა თვითონ აცხადებდა, რომ დაყოფდა ისტორიას ,,არა სათავადოებად არამედ მოვლენების მიხედვით''. ამ მიმართებაში უფრო საინტერესო იყო მის მიერ შემოთავაზებული დაყოფა მთელი რუსეთის ისტორიის სამ დიდ ეტაპად. 1) ძველი რუსული ისტორია როგორც ისტორია რუსი ხალხისა, არა სახელმწიფოსი რომელსაც საფუძველი ვარიაგებმა ჩაუყარეს (ამასთან პოლევოი საუბრობდა არა მოწვევაზე, არამედ ვარიაგების მიერ სლავების დაპყრობაზე, რომლებმაც ხმლებით ჩაუყარეს საფუძველი საზოგადოებრივ ინსტიტუტებს) 2) რუსული სამეფოს ისტორია, რომელიც იწყება თათარ მონღოლებთან ბრძოლასთან ერთად და 3) იმპერიის ისტორია პეტრე I-დან.

კარამზინის კრიტიკასთან ერთად პოლევოი თვითონ გატაცებით წერდა სამთავროებსა და მთავრებზე თუმცა ხშირად აძლევდა უარყოფით შეფასებებს იმ პერსონაჟებს რომელთა შესახებ დადებითად წერდა კარამზინი. პოლევოის ნაშრომის გამოჩენას მტრულად შეხვდნენ, ვერ პატიობდნენ ნიბურისადმი მის მიძღვნას და ვერც მკვეთრ თავდასხმებს კარამზინზე.

ისტორიული მეცნიერება XIX საუკუნის I ნახევარში კვლევის წყაროთმცოდნეობითი ბაზის და თემატიკის გაფართოება. მეთოდოლოგიური საფუძვლები

თვისობრივი ცვლილებები ისტორიულ მეცნიერებებში რომელიც ხდებოდა XIX საუკუნეში შეუძლებელი იყო განათლების სისტემაში ცვლილებების გარეშე. თუ XVIII საუკუნეში რუსეთში იყო მხოლოდ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული პეტერბურგის უნივერსიტეტი, მოსკოვის უნივერსიტეტი და სამხატვრო აკადემია უკვე XIX საუკუნის პირველ წლებში გაიხსნა ყაზანის, ხარკოვის, იურიევსკის (ტარტუ) ვილენის (შემდეგ კიევში გადავიდა) ისინი იყო არა მხოლოდ საგანმანათლებლო არამედ სამეცნიერო კვლევითი ცენტრები. ჩნდება ლიცეუმი ცარსკოე სელოში, ნეჟინში, იაროსლავსა და ოდესაში.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებთან შექმნილ სამეცნიერო საზოგადოებებს. 1804 წელს შეიქმნა რუსეთის ისტორიის და სიძველეების მოსკოვის საზოგადოება, რომლის წევრებიც მოსკოვის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად იყვნენ ნ. კარამზინი, ა. შლიოცერი, ნ. ბატიშ-კამენსკი, ა. მალინოვსკი კ. კალაიდოვიჩი ა. მუსინ-პუშკინი და სხვა. 1846 წლიდან საზოგადოება გამოსცემდა პერიოდულ ორგანოებს, შემდგომში ანალოგიური სამეცნიერო საზოგადოებები შეიქმნა ყაზანში (1805) ხარკოვში (1817) ოდესაში (1839).

დიდი მნიშვნელობა მეცნიერების განვითარებაში ჰქონდა საგამომცემლო საქმიანობის გაფართოებას, წიგნების განსაკუთრებით კი ჟურნალების გამოცემას. ისტორიის პრობლემები შუქდებოდა არა მხოლოდ სპეციალურ გამოცემებში, არამედ ლიტერატურულ ჟურნალებშიც. პირველი მსხვილი ლიტერატურული ჟურნალი რუსეთში რომელსაც ჯერ კარამზინი შემდეგ კი კაჩენოვსკი ხელმძღვანელობდა იყო ,,ევროპის მაცნე" (Вестник Европы). ჟურნალებს გამოსცემდნენ პოგოდინი, პოლევოი და სხვები. არსებითი როლი ისტორიული ცოდნის გავრცელებაში ითამაშა XIX საუკუნის 40-იან წლებში დაარსებულმა ,,გუბერნიის უწყებებმა" (Губернские ведомости) რომელიც ფართოდ აქვეყნებდა ძირითადად ადგილობრივი ისტორიის მასალებს.

თემატიკის გაფართოებამ და სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობის ზრდამ გამოიწვია სპეციალიზირებული ისტორიული დისციპლინების გაფორმება, ეკონომიკის, სამართლის, ენის, ლიტერატურის ისტორიები, ეთნოგრაფია, არქეოლოგია და სხვა.

XIX საუკუნის I ნახევრში გამოიცა მსხვილი ისტორიულ სტატისტიკური ნაშრომები, მაგალითად: ,,რუსეთის იმპერიის მიწის აღწერა" ე. ზიაბლოვსკის, ,,რუსეთის სახელმწიფოს სტატისტიკის მონახაზი" და ,,რუსეთის სტატისტიკური ნარკვევი". სამართლის ისტორიას თავის ნაშრომებში სწავლობდნენ ი. ევერსი, კ. ნევოლინი, ი. ბელიაევი, ბ. ჩიჩერინი. (,,Землеописание Российской империи", ,,Начертание статистики Российского государства", ,,Статистческие очерки России")

ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ახალ ისტორიული დისციპლინებს შორის დაიკავა არქეოლოგიამ. პირველი მსხვილი სამუშაოები არქეოლოგიის დარგში გაჩაღდა რუსეთის სამხრეთით, შავიზღვისპირეთში, ანტიკური კულტურის ტერიტორიაზე. XIX საუკუნის 50-იან წლებს მიეკუთვნება გრაფ უვაროვის პირველი გათხრები ვლადიმირის გუბერნიაში. 1846 წელს შეიქმნა პირველი საერთო რუსული ცენტრი არქეოლოგიური სამუშაოების ხელმძღვანელობისთვის - საიმპერატორო რუსული არქეოლოგიის საზოგადოება პეტერბურგში.

XIX საუკუნის I ნახევარში მნიშვნელოვანი განვითარება ჰპოვა რუსულმა ეთნოგრაფიამაც. თუ ასწლეულის დასაწყისში ის იყო დაკავშირებული ძირითადად მოგზაურთა საქმიანობასთან, ახლა უკვე სწავლობდა მიწებს და მოსახლეობის ყოფას, ხალხურ ხელოვნებას და ა.შ. ფოლკლორის, ეთნოგრაფიული მასალების შეკრების ფართო საქმიანობას ეწეოდნენ ი. სახაროვი, ი. სნეგირევი, ვ. დალი. (რომელმაც ფართო აღიარება ჰპოვა თავისი რუსული ენის

განმარტებითი ლექსიკონით). რუსული ფოლკლორისტიკის განვითარებაში დიდი როლი მიუძღვის ფ. ბუსლაევს. ა. აფანასევს, რუსული სახალხო სიმღერების შემგროვებლებს ი. კირეევსკის, ა. გილფერდინს. ეთნოგრაფიული ცოდნის განვითარას ხელს უწყობდა 1845 წელს რუსული გეოგრაფიული საზოგადოების შექმნა, რომელიც 1853 წლიდან უშვებდა სპეციალურ ,,ეთნოგრაფიული კრებულს''.

პირველი სერიოზული გამოკვლევა ყოფითი ისტორიის და მატერიალური კულტურის საკითხებზე იყო ვ. პასსეკის ნაშრომი,,О городищах и курганах южной России'' ა. ოლენინის ,,Опыт об одежде оружии нравах обычаях и степени просвещения славянь'' ი. ზაბელინის ,,Домашний быт русских царей XVI-XVII'' და ,,Домашний быт русских цариц XVI-XVII''.

ფართო გაქანება XIX საუკუნის I ნახევარში მიიღო შრომებმა არქეოგრაფიასა და წყაროთმცოდნეობაში. პირველი მსხვილი სამეცნიერო ცენტრი ამ დარგში იყო გრაფ ნიკოლოზ პეტრეს ძე რუმიანცევის წრე. გრაფი იყო რუსეთის ისტორიის დიდი მოყვარული და მფლობელი ერთ-ერთ უძვირფასესი ისტორიული ნაკრების, რომელიც მოიცავდა 28 ათას წიგნს, დაახლოებით 200 ხელნაწერს, უამრავ რუკას, მონეტას, ორდენს (რუმიანცევის წიგნის ფონდი საფუძვლად დაედო რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკას) რუმიანცევის წრეში შედიოდნენ არქეოგრაფები კ. კალაიდოვიჩი, პ. სტროევი. ეკლესიის ისტორიკოსი ე. ბოლხოვიტინოვი (მიტროპოლიტი ევგენი) და სხვები. წრის მუშაობა რიგი სამეცნიერო პუბლიკაციით აღინიშნა მათ შორის კაპიტალური გამოცემაა ,,Собрание государственных грамот и договоров'' და ა.შ.

დამატებით შეიძლება ითქვას, რომ სწორედ XIX საუკუნის I ნახევარში დაიხვეწა ისტორიულ წყაროებთან მუშაობის მეთოდები და ხერხები. შემუშავდა რამდენიმე დამხმარე ისტორიული დისციპლინა. პალეოგრაფია დიპლომატიკა, სფრაგისტიკა. ამ პერიოდში ყალიბდება ისტორიოგრაფია როგორც დამოუკიდებელი დარგი.

<u>ისტორიული მეცნიერების მეთოდოლოგიური საფუძვლები</u>. XIX საუკუნის I ნახევარში ძველი ისტორიკოსების თხრობას, რომელიც მიუყვებოდა მატიანეების და ქრონიკების სტილს, ცვლის წყაროებთან მუშაობის კრიტიკული მეთოდი და წარსულის ფილოსოფიური გააზრება.

ახალი ეტაპი ევროპულ ისტორიოგრაფიაში დადგა საფრანგეთის რევოლუციის შემდგ და დაკავშირებული იყო განმანათლებლური იდეების იმედგაცრუებასთან. განმანათლებლობა შეცვალა რომანტიზმმა. რწმენა, რომ საზოგადოების შესაცვლელად საჭიროა სიკეთის იდეის, სამართლიანობის, ცოდნის გავრცელება შერყეულ იქნა. რომანტიკოსები ცვლიდნენ გონებას ფანტაზიით, ლოგიკას გრძნობით, აზროვნების კანონებს - გენიალური გამონათებებით. ჩანდა რომ განმანათლებლური რაციონალიზმი დასრულდა. სამყარო ,,ჩაიძირა სევდაში, დაკარგული ბედნიერების გამო'' (ვ. ბელინსკის განსაზღვრება).

რომანტიკული მიმართულება ფილოსოფიასა და ისტორიაში არ იყო ერთგვაროვანი. ის თავისთავში მოიცავდა კონსერვატორებს და ლიბერალებს. რომანტიკული ეპოქის ფილოსოფიისთვის დამახასიათებელია ურთიერთ საწინააღმდეგო მიდგომების არსებობა: აგნოსტიციზმი (მიმართულება ფილოსოფიაში რომელიც გარემო-სინამდვილის ობიექტური შემეცნებას შეუძლებელს თვლის საკუთარი გამოცდილების მეშვეობით) პოზიტივიზმი (მიმართულება მეცნიერების მეთოდოლოგიაში, რომელიც აცხადებდა ჭეშმარიტი ცოდნის ერთადერთ წყაროდ ემპირიულ გამოკვლევებს და რომელიც უარყოფს ფილოსოფიური კვლევების შემეცნებით ღირებულებას) ირაციონალიზმი (მიმართულება ფილოსოფიაში არსებობა მსოფლგაგების, მიუღწეველი გონებისთვის და მიღწევადი მხოლოდ პირადი თვისებებით, როგორიცაა ინტუიცია, გრძნობა, ინსტიქტი, რწმენა).

კონსერვატორი რომანტიკოსები უპირისპირდებოდნენ განმანათლებელთა საზოგადოებრივ იდეებს- ძველ კეთილ ფეოდალურ დადგენილებებს, რევოლუციურ გარდაქმნებს- ლეგიტიმიზმს, რელიგიის კრიტიკას – ორთოდოქსულ კათოლიციზმს.

ისტორიული მეცნიერების განვითარებში განსაკუთრებული ყურადღება ითამაშეს რესტავრაციის პერიოდის ფრანგმა ისტორიკოს რომანტიკოსებმა. ისინი არ ახდენენ შუასაუკუნეების პოლიტიკური წყობის და კულტურის იდეალიზებას, მაგრამ არც უარყოფდნენ ყველაფერ წარსულს არამედ ეძებდნენ მასში თანამედროვე სოციალური ინსტიტუციის და იდეების ფესვებს. მათი აზრით ყველაფერი ახალი უნდა განხილულ იქნეს როგორც ტრადიციულად განვითარებული წარსულიდან. ამ რომანტიკული ტალღის ისტორიკოსებიდან აღსანიშნავია ფრანსუა გიზო (1787-1874). სწორედ მან შემოიღო ისტორიოგრაფიაში ფეოდალიზმის სამი ძირითადი ნიშნის ცნება: 1) მიწის საკუთრების პირობითი ხასიათი 2) სახელმწიფო ხელისუფლების შერწყმა მიწის საკუთრებასთან (ფეოდალი - მიწის მესაკუთრე და ხელმწიფე ვინც ამ მიწაზე ზის) 3) მიწათმფლობელთა იერარქია (ფეოდალური კიბე). ფეოდალიზმის ეს დახასიათება ფართოდ გავრცელდა რუს ისტორიკოსებშიც.

თუ განმანათლებლები ცდილობდნენ აეხსნათ საზოგადოებრივი მდგომარეობა კანონებით რომელთაც მმართველები ადგენენ, რომანტიკოსებს პირიქით სახელისუფლებო კანონები საზოგადოებრივი მდგომარეობიდან გამოჰყავდათ, ხოლო ცვლილებებს მის მდგომარეობაში ხსნიდნენ ისტორიული გარემოებებით. უმნიშვნელოვანესი ამ გარემოებებიდან იყო კლასობრივი ბრძოლა. ,,კლასობრივი ბრძოლის მამად'' კარლ მარქსი აღიარებდა ოგიუსტ ტიერს (1795-1856) (მართალია რომანტიკოსი ფრანგები კლასობრივ ბრძოლას განიხილავდნენ როგორც დაპყრობის შედეგს: ჩაგრული გალების ბრძოლა დამპყრობელი ფრანკების წინააღმდეგ, რომელიც გრძელდებოდა 13 საუკუნე და მისი კულმინაცია 1789-1794 წწ იყო)

ფრანგი რომანტიკოსების გვერდით ისტორიული მეცნიერების მეთოდოლოგიის განვითარებაში დიდი როლი ითამაშეს გერმანელმა კლასიკური, იდეალისტური ფილოსოფიის წარმომადგენლებმა. კაცობრიობის განვითარების კანონზომიერებების და ისტორიული განვითარების ეროვნული თავისებურებების საკითხებით იყო დაკავებული ფრიდრიხ ვილჰელმ იოზეფ ფონ შელინგი (1775-1845). ის თვლიდა, რომ აბსოლუტი კარნახობს საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობას. ადამიანი მხოლოდ ფიქრობს, რომ მოქმედებს იმ მიზნების შესაბამისად, რომელსაც ის ისახავს, ადამიანები მიდიან პროგრესის გზაზე არა თავისი ნებით არამედ აბსოლუტს მიჰყავს ისინი და ა.შ.

ისტორიული პროგრესის საჭიროების იდეამ, რომელიც დამოკიდებულია აბსოლუტზე და არა ისტორიული პიროვნების სურვილზე, ასევე შელინგის სხვა იდეებმა რუსეთში განსაკუთრებით ფართო გავრცელება ჰპოვა 1820-40-იან წლებში.

უმაღლესი წერტილი გერმანული კლასიკური ფილოსოფიის იყო გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის შემოქმედება (1770-1831). ჰეგელის ისტორიოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ისტორიის განვითარება უნდა გაგებულ იქნას როგორც თვითგანვითარება, როგორც მოძრაობა, რომელიც ხდება შინაგანი კანონებით. ამასთან განვითარება ,,არის მოძრაობა არასრულყოფილიდან სრულყოფილამდე და ძველი ეპოქის არასრულყოფილება თავის თავში მოიცავს წინააღმდეგობას - მომავალი ეპოქის სრულყოფილებას ჩანასახში''. თავის ისტორიულ ფილოსოფიაში ჰეგელი ცდილობდა მიჰყოლოდა კანონზომიერ ეტაპებს კაცობრიობის განვითარებაში, ამასთან ყველა ეს ეტაპი უკავშირდება განსაზღვრული ხალხის ისტორიას. საუბრობს რა მსოფლიო ისტორიის მსვლელობაზე ის წერდა: ,,აღმოსავლეთმა იცოდა და იცის, რომ მხოლოდ ერთია თავისუფალი, ბერძნულმა და რომაულმა სამყარომ, რომ ზოგიერთია თავისუფალი გერმანულმა სამყარომ იცის რომ ყველა თავისუფალია''. ამრიგად პირველ ფორმას რომელსაც ჩვენ ვხედავთ მსოფლიო ისტორიაში არის დესპოტიზმი, მეორე დემოკრატია და არისტოკრატია, მესამე მონარქია.

ჰეგელის მნიშვნელობა განისაზღვრება პირველყოვლისა მისი დიალექტიკური მეთოდებითთ. ისტორიკოსებისთვის დიდ ინტერესს წარმოადგენს დიალექტიკური იდეები: მოვლენათა საყოველთაო კავშირი, დაპირისპირებულთა ერთიანობა და ბრძოლა როგორც

განვითარების წყარო, რაოდენობის თვისობრივში გადასვლის კანონი, განხორციელებული ნახტომის სახით.

ამრიგად ჰეგელის ფილოსოფიამ შეაიარაღა ისტორიოგრაფია ორი ძირითადი იდეით. 1) ისტორიული პროცესის შინაგანი განპირობებულობა. 2) სახელმწიფოს იდეა, რომელიც განიხილებოდა როგორც ბუნებრივი, აუცილებელი და უმაღლესი ფორმა სოციალური ორგანიზაციის. ჰეგელის აზრით მსოფლიო ისტორია იწყებოდა მხოლოდ იქ, სადაც ჩნდებოდა სახელმწიფო და მიმდინარეობდა მხოლოდ იქ სადაც არსებობდა სახელმწიფოებრიობა. რაც შეეხება კაცობრიობის სახელმწიფომდელ განვითარებას მისი აღწერა ჰეგელმა მოგვცა ,,სამართლის ფილოსოფიაში'', გვარი და ოჯახი, სამოქალაქო საზოგადოება და ბოლოს სახელმწიფო. აი ერთიდან მეორეში გარდამავალი კანონზომიერი სტადიები საზოგადოებრივი განვითარების სახელმწიფომდელ ეპოქაში.

ჰეგელი უჩვეულოდ პოპულარული იყო XIX საუკუნის 30-40-იანი წლების რუს ინტელექტუალ ახალგაზრდობაში. ახალი იდეები ისტორიოგრაფიაში XIX საუკუნის I ნახევარში შეეხო წყაროთმცოდნეობის პრობლემასაც. დიდი გავლენა წყაროებთან მიმართებაში და საერთოდ ისტორიის წერაში მოახდინა ისეთმა ფილოსოფიურმა მიმდინარეობამ როგორიცაა პოზიტივიზმი. მისი დამაარსებელი იყო ისიდორ მარი ოგიუსტ ფრანსუა ქსავიე კონტი (1798-1857), ჯონ სტიუარტ მილი (1806-1873). ფართო გავრცელება პოზიტივიზმმა ჰპოვა XIX სკ. II ნახ. ჰერბერტ სპენსერის (1820-1903) და იპოლიტ ტენის (1828-1893) ნაშრომების წყალობით.

(პოზიტივიზმი რთული მოვნელაა, მაგრამ შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ძირითადი პრინციპი, ისტორიის გასაგებად: 1) ისტორიული პროცესი-მრავალფაქტორიანი მოვლენაა: ისტორიაზე ერთდროულად გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, იდეოლოგიური, და სხვა შემადგენელი. 2) ისტორიული პროცესი კანონზომიერია: რეკონსტრუქცია და შესწავლა ფაქტების იძლევა დადგინდეს კანონზომიერებები 3) ისტორია პროგრესის გზაზე მიდის. მარტივიდან რთულისკენ, ერთგვაროვნიდან-არაერთგვაროვნისკენ. 4) კაცობრიობის ისტორია არის კოლექტიური შეგნების ასახვა. პოზიტივიზმი გამორიცხავს ღვთაებრივ სასწაულებს, აუხსნელს ისტორიული პროცესიდან. სერიოზულად გააფართოვა პრობლემატიკა და შექმნა წყაროს კულტი).

ისტორიულ წყაროებზე მუშაობის სრულყოფა, კრიტიკული მიმართულება და სკეპტიკური სკოლა.

<u>ავგუსტ ლუდვიგ შლიოცერი (1735-1803).</u> მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში რამდენიმე წელი გაატარა ამ გერმანელმა სწავლულმა განმანათლებელმა საგრძნობი წვლილი შეიტანა რუსული ისტორიოგრაფიის და განსაკუთრებით რუსული წყაროთმცოდნეობის განვითარებაში.

რუსეთში შლიოცერი მოხვდა შემთხვევით, იყო გიოტინგენის უნივერსიტეტის სტუდენტი დაინტერესებული ბიბლიური აღმოსავლეთის ისტორიით, რომლის შესასწავლად აპირებდა პალესტინაში წასვლას. შლიოცერს ფული არ ჰქონდა და მისი გამომუშავება გადაწყვიტა რუსეთში. მან წერილი მისწერა მილერს და ამ უკანასკნელმა მოიწვია პეტერბურგში 1761 წელს. გახდა მილერის ოჯახში მასწავლებელი და მისი დამხმარე საისტორიო ჟურნალის გამოცემაში, წელიწადში 100 მანეთი ანაზღაურებით. მილერთან დიდი ხანს არ დარჩენილა, მალე დაუახლოვდა ტაუბერტს მეცნიერებათა აკადემიის მდივანს, მილერის მტერს და მისი მეშვეობით მიიღო აკადემიის ადიუნქტის თანამდებობა.

მოეწყო რა რუსეთში, შლიოცერი შეუდგა რუსული და საეკლესიო ძველი სლავური ენის შესწავლას, მისი წარმატება ამ დარგში ისეთი იყო ეკატერინე II-მ დაავალა 1763 წელს რუსული ენის გრამატიკის შედგენა, რაც შეასრულა კიდეც, ააგო რა ის შედარებით ენათმეცნიერების ბაზაზე. ნაშრომში ავტორი სრული სერიოზულობით ამტკიცებდა რომ სიტყვა ბოიარი მოდის

სიტყვიდან ,,ბარანი'' ან სულელი. ,,კნიაზი'' გერმანული ,,knecht'' (холоп) და ა.შ. ამის წინააღმდეგ გამოვიდა ლომონოსოვი. ამასთან შლიოცერი სწავლობდა რუსულ მატიანეებს.

1764 წელს შლიოცერმა მეცნიერებათა აკადემიაში შეიტანა რუსეთის ისტორიაზე თავისი ნაშრომის გეგმა. ლომონოსოვი მის წინააღმდეგ გამოვიდა, უთითებდა რა შლიოცერის რუსული ენის სუსტ ცოდნაზე. ლომონოსოვი ეწინააღმდეგებოდა ასევე შლიოცერისთვის უფლება მიეცათ ესწავლებინა ისტორია. და მაინც შლიოცერს არ განელებია რუსეთის ისტორიის ინტერესი. 1764 წელს გამოუშვა ნაშრომი ლათინურ ენაზე ,,რუსული სიძველეების მიმოხილვა ბერძნული მასალების შუქზე''. (,,Обзор русских древностей в свете греческих материалов'')

ამავე დროს გამოვიდა მისი სხვა ნაშრომი მცირე ექსკურსი ასკოლდის და დირის შესახებ მატიანის, ამ ცნობის კრიტიკული გარჩევით და ინტერპრეტაციით ხსენებული მოვლენების უცხოურ ისტორიულ წყაროებთან შედარების გზით. ბოლოს 1765 წელს მიუხედავად ლომონოსოვის აღშფოთებისა შლიოცერი გახდა ისტორიის პროფესორი.

უკმაყოფილო სანკტ-პეტერბურგში თავისი მდგომარეობით, 1767 წელს დაბრუნდა გიოტინგენის უნივერსიტეტში და პეტერბურგში არც დაბრუნებულა, თუმცა რუსეთის ისტორიაზე მუშაობა არ შეუწყვეტია.

შლიოცერის მონაწილეობით მომზადებულ და გამოცემულ იქნა რიგი ისტორიული წყაროები. ნიკონის მატიანის პირველი ტომი, რუსული სამართალი ნოვგოროდის I მატიანის აკადემიური სიის მიხედვით. სამართლის წიგნი 1550 წლის. თუმცა მისი როლი რუსულ ისტორიოგრაფიაში განისაზღვრება პირველყოვლისა ,,გარდასულ დროთა ამბის'' წყაროთმცოდნეობითი ანალიზით. 1768 წელს უკვე გერმანიაში გამოიცა ,,რუსული მატიანის შესწავლის მცდელობა''. (,,Опыт изучения русской летописи'') ძირითადი დებულება ამ ნაშრომის მან შემდეგში განავითარა 3 ტომიან გამოკვლევაში ,,ნესტორი, რუსი მემატიანეები ძველ სლავურ ენაზე შედარებული გადათარგმინილი და ახსნილი ა. შლიოცერის მიერ''. (Нестор. Русские летописи на древнеславянском языке, сличенные, переведенные и объясненные А.Л. Шлецером)

წყაროსთან მუშაობისას მკვლევარი გამოყოფდა სამი დონის კრიტიკას: 1) ,,მცირე კრიტიკა'', პირველყოფილი ტექსტის აღდგენა, მისი გაწმენდა მოგვიანებითი ,,შრეებისგან''. რას წერდა ნესტორი სინამდვილეში? ეკუთვნის თუ არა მას ესა თუ ის სიტყვა, სტროფი მთელი ადგილი. 2) ტექსტის განმარტება (გრამტიკული კრიტიკა) ანუ ნამდვილი არსის გაგება თუ რა ჩადო ტექსტში ავტორმა. 3) ,,უმაღლესი კრიტიკა'', დაფუძნებული გონიერებაზე რომელიც ტექსტში მოცემული ფაქტის ნამდვილობის დადგენის საშუალებას იძლევა.

შლიოცერი თვლიდა, რომ აღმოსავლეთ სლავებში ველურობის პერიოდი გრძელდებოდა რიურიკის მოსვლამდე და ხალხმა რომელიც რუსეთში ცხოვრობდა არ იცოდა რა იყო ვაჭრობა, განათლება და ა.შ. სწავლული დარწმუნებული იყო ,,რუსის'' სკანდინავიურ წარმოშობაში, ასევე სკანდინაველების როლში მთავართა მმართველობის ჩამოყალიბებაში, კულტურის გავრცელებაში სლავებთან და მათ მეზობლებთან. მსჯელობათა ჯაჭვი მასთან იყო შემდეგნაირი: პირველი, ნამდვილი რუსები იყვნენ არა სლავები არამედ შვედები, მაგრამ შვედები თავს რუსებს არასდროს უწოდებდნენ. ეს სახელწოდება აიხსნება იმით, რომ ადგილობრივი სლავი მოსახლეობა მოვიდა დაკიიდან, აირია აქ ფინებთან, რომლებიც დიდი ხანია შვედებს იცნობდნენ, როგორც საზღვაო მეკობრეებს და უწოდებდნენ მათ ,,რუოტსებს''. ეს სახელი ვარიაგების აღსანიშნავად აიღეს სლავებმა. ვარიაგები ნოვგოროდში მოვიდნენ შვედეთიდან, როგორც დამხმარე, დაქირავებული სამხედრო ძალა, შემდეგ განმტკიცდნენ რა აქ მიიღეს მთავრის ხელისუფლება ,,სკანდინავილებმა ან ნორმანებმა დააფუძნეს რუსული სახელმწიფო ამაში არავის ეპარება ეჭვი''.

თავის ისტორიულ ძიებებში შლიოცერი არ შემოიფარგლება მხოლოდ ძველი რუსული პერიოდით. რუსეთში ხანმოკლე ცხოვრების პერიოდი გამოიყენა ქვეყნის შესაწავლად, ხალხის, მეურნეობის, შიდა მოწყობის გასაცნობად. შედეგად გერმანიაში გამოქვეყნდა 1769-1772 წწ მისი

თანამედროვე რუსეთის აღწერა ე.წ. ,,Преображенная Россия" სადაც რუსეთის წარსულის საკუთარი პერიოდიზაცია ჰქონდა: 1) რუსეთის დაბადება 862-1015 რიურიკის მოწვევიდან ვლადიმირის გარდაცვალებამდე. 2) დაყოფილი რუსეთი 1015-1216 3) ჩაგრული რუსეთი 1216- ივანე III მთავრობა 4) გამარჯვებული რუსეთი ივანე III- პეტრე I 5) გარდაქმნილი რუსეთი პეტრე I-დან.

შლიოცერის ადგილი რუსულ ისტორიოგრაფიაში განისაზღვრება ძირითადად მისი დამოკიდებულებით ისტორიულ წყაროსთან. (შლიოცერის სიტყვები ,,შეთხზეთ, მოიგონეთ იოცნებთ, წერეთ რომანები მაგრამ დაარქვით მათ რომანი, სახელი ისტორია წმინდაა, არ წაბილწოთ იგი!")

<u>იოჰან ფილიპ გუსტავ ევერსი (1781-1830)</u> იყო შლიოცერის მოწაფე. 1814 წელს გამოსცა ნაშრომი ,,კრიტიკული კვლევები რუსეთის ისტორიისთვის". (Предварительные критические исследования для российской истории) თავის ყურადღებას ევერსი ამახვილებდა ძველ ისტორიაზე. ბაიერ-შლიოცერის საპირისპიროდ სწავლული ეძებდა რუსების სამშობლოს შავიზღვისპირეთში (თვლიდა ხაზარეთს შავიზღვის რუსიად) ანუ გამოდიოდა როგორც ანტინორმანისტი. ავითარებდა ადრე ლომონოსოვის გამოთქმულ იდეებს, იცავდა იმ თვალსაზრისს, რომ სახელმწიფო ეს არ არის უცხოელების მოწვევის შედეგი, ის გაჩნდა შინაგანი განვითარების ძალით და შედეგად არ შეიძლება გამოყვანილ იქნას უცხოური დაპყრობისგან. 1816 წელს ევერსმა გამოსცა ზოგადი ხასიათის ნაშრომი ,,რუსების ისტორია" (История руссов) (გერმანულ ენაზე), 1826 წელს გერმანულადვე გამოსცა მეორე მსხვილი ნაშრომი უძველესი რუსული სამართლის შესახებ ისტორიულ ჭრილში. (Древнейшее русское право в историческом его раскрытии) სადაც გაანალიზებული იყო რუსულ-ბიზანტიური ხელშეკრულებები, რუსული სამართალი (ტექსტოლოგიური ანალიზის საფუძვლეზე ევერსმა მასში გამოყო 3 ნაწილი: იაროსლავის სამართალი, იაროსლავის ძეების სამართალი და ვრცელი სამართალი) და სხვა იურიდიული აქტები.

გარეგნულად ,,რუსეთის ისტორია" იმეორებდა სამთავროების მიხედვით წარსულის აღწერის ჩვეულ სქემას, მაგრამ სამთავროების პოლიტიკური ისტორია ევერსთან იყო მოკლე ცნობები ძირითად მოვლენებზე, ხოლო პირველ პლანზე გამოდიოდა ხალხების შინაგანი მდგომარეობის შესწავლა- საზოგადოებრივი განვითარების ისტორია. ამიტომ რუსეთის ისტორიის ათვლის წერტილი მეცნიერისთვის იყო არა ვარიაგების მოწვევა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება, არამედ პირველი ცნობა მოხსენიება სლავების 552 წლისთვის.

ევერსი სახელმწიფოს გაჩენის პროცესს ასე ხატავდა: პირველი უჯრედი საზოგადოების იყო ოჯახი (მეთაური მამა, რომლის ხელისუფლება აბსოლუტურია და შეურყეველი) ოჯახის გაზრდით იქმნება გვარი, (ოჯახების ერთობლიობა გვარის პატრიარქის მეთაურობით), გვარების ერთობლიობა ქმნის ტომს, ხოლო პატრიარქი ხდება ტომის ბელადი, მთავარი. ხალხების გავრცელება განსაზღვრულ ტერიტორიაზე იწვევს შემდგომში სახელმწიფოს გაჩენას, რომელიც არის სოციალური ყოფისა უმაღლესი ფორმა. ამრიგად სქემა ოჯახი – გვარი – ტომი – სახელმწიფო უპირისპირდებოდა ჩვეულ გაგებას მისი გაჩენის, როგორც შედეგი გარე ფაქტორების გავლენისა.

სახელმწიფოს გვარისგან გაჩენის კონცეფცია არ იყო ახალი იდეა, მაგრამ თავისი მწყობრი და ლოგიკური სახე გვაროვნულმა თეორიამ მიიღო სწორედ ევერსთან. ევერსის კონცეფციის ძლიერი მხარე იყო იმაში, რომ ცდილობდა რუსეთის ისტორიის კანონზომიერი მსვლელობა აეხსნა მისი შიდა პროცესების ანალიზის გზით. . . .

<u>მიხეილ ტროფიმეს ძე კაჩენოვსკი. სკეპტიკური სკოლა".</u> მ. კაჩენოვსკი (1775-1842) გარუსებული ბერძნული ოჯახიდან იყო. 13 წლისამ დაამთავრა ხარკოვის კოლეგიუმი, შემდეგ იყო სამოქალაქო და სამხედრო სამსახურში. 1801 წელს მიიღო ბიბლიოთეკარის ადგილი შემდეგ კი გახდა გრაფ ალექსეი კირილის ძე რაზუმოვსკის პირადი კანცელარიის უფროსი, 1816 წელს -

ფილოსოფიის დოქტორი, 1811 წელს - სახვითი ხელოვნების და არქეოლოგიის პროფესორი. 1821 წელს გადავიდა ისტორიის, სტატისტიკის და გეოგრაფიის კათედრაზე მოსკოვის უნივერსიტეტში, 1835 წლიდან სათავეში ჩაუდგა სლავი ხალხი ისტორიის და ლიტერატურის კათედრას.

თავის მთავარ სამეცნიერო ამოცანად კაჩენოვსკიმ დაისახა წყაროების კრიტიკული გადარჩევა (გარჩევა) და უტყუარი ფაქტების დადგენა. უნდა ითქვას, რომ სწავლულის ისტორიული შეხედულებები ყალიბდებოდა გ. მილერის, ი. ბოლტინის, ა. შლიოცერის იდეების გავლენით ასევე ბ. ნიბურის. ამ უკანასკნელის შრომებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ახალი მიდგომების გასავითარებლად. ნიბური გერმანელი ისტორიკოსი იყო, რომელიც თითოეული წყაროს შინაარსის მკაცრ გარჩევას ახდენდა. წყაროსთან მუშაობას ნიბური ყოფდა ორ ნაწილად 1) ანალიტიკური ანუ ლეგენდის გამოყოფა სინამდვილისგან 2) სინთეტიკური –ისტორიული ცხოვრების რეალური სურათის აღდგენა.

წყაროების კრიტიკის ახალი მეთოდებით შეიარაღებული კაჩენოვსკი რუსული მატიანეების მიმართ უფრო შორს წავიდა ვიდრე შლიოცერი, რომელიც თვლიდა, რომ ნესტორი რომელმაც დაწერა ძველი მატიანე იყო მართალი და საჭირო იყო მხოლოდ გაწმენდა მისი ტექსტის მოგვიანებითი დამატებებისგან. კაჩენოვსკი თვლიდა, რომ ბევრი ცნობა იგავია. თავის შეხედულებებს ისტორიკოსი აყალიბებდა ,,ევროპის მაცნის" ფურცლებზე, სადაც მუშაობდა 1804-1830 წწ და სტუდენტებთან ლექციებზე მოსკოვის უნივერსიტეტში. მისი კურსი მსმენელებში წარმატებით სარგებლობდა.

თავის ადრეულ შრომებში კაჩენოვსკი გამოდიოდა ზომიერ კრიტიკოსად, მაგრამ შემდეგ კრიტიკული განწყობა გაძლიერდა და აქცია იგი სკეპტიკოსად ძველი რუსული წყაროების მიმართ. სკეპტიკოსები ნიბურის მსგავსად გამოყოფდნენ გარე და შიდა კრიტიკას. გარე (დაბალი) კრიტიკა მოიცავდა წყაროს პალეოგრაფიულ, ფილოლოგიურ და დიპლომატიკურ ანალიზს, ,,ასწავლიდა სწორად კითხვას და გაგებას" უნდა აღედგინა დოკუმენტები თავისი ნამდვილი სახით, მაგრამ ძირითადი როლი განეკუთვნებოდა შიდა (უმაღლეს) კრიტიკას.

კაჩენოვსკი თვლიდა, რომ ხალხები როგორც ცალკეული ადამიანები გადიან თავიანთი განვითარებაში თავიდან ჩვილობის ასაკს, შემდეგ ყმაწვილობის და მიდიან მოწიფულობამდე. უძველესი სტადიისთვის დამახასიათებელია გადმოცემები, ფანტაზია, როგორც ნიბური წერდა ,,ხალხს უყვარს თავისი ჩვილობის (ყრმობის) დრო შერაცხოს ზებუნებრივი ამბებით, ღვთის განგებულებით..." ეს იგავები მოითხოვს ისტორიკოსისგან უნარს განაცალკევოს რეალურად მომხდარი ფაქტი გამოგონილისგან".

გადმოიტანა რა ეს შეხედულებები რუსულ ნიადაგზე მ. კაჩენოვსკი მივიდა დასკვნამდე, რომ მთელი კიევის პერიოდი რუსულ ისტორიაში ზუსტად, რომ იყო იგავებით სავსე. თავისი იდეები მან დაასაბუთა 1818-19 წწ კარამზინის ,,რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის" რეცენზიაში, რომელსაც ამხელდა წყაროს სამეცნიერო კრიტიკის არქონაში. მხატვრულობისკენ მიდრეკილებაში. კარამზინი შეუძლებელს თვლიდა წყაროებით ისტორიული სინამდვილის სრულად აღდგენას და ინტერპრეტირებდა მოვლენებს, არჩევდა რა მატიანისგან იმას რაც შეესაბამებოდა მის პოლიტიკურ შეხედულებებს და ისტორიულ ამოცანებს. კაჩენოვსკი კი მოითხოვა მიუკერძოებელ გამოკვლევას, საუბრობდა საინტერესო მოვლენაზე ყველა დოკუმენტის, ცნობის შეკრების აუცილებლობაზე, სკრუპულოზურ გამოკვლევას და გარკვევას ყველა მოგვიანებითი დამატებების. კრიტიკოსის პრინციპულობა, და საზოგადოებისთვის საყვარელ ისტორიკოსზე თავდასხმა უპასუხოდ არ დარჩენილა. ზოგიერთი ნაცნობი არც ესალმებოდა კაჩენოვსკის, ამაოდ ხედავდნენ მასში კარამზინის მტერს, მაგრამ კაჩენოვსკი ებრძოდა არა კარამზინს, რომელსაც პატივს სცემდა როგორც ნიჭიერ ლიტერატორს, არამედ მის ვარაუდებს და მითებს. ის მოუწოდებდა შეეფასებინათ ფაქტების უტყუარობა, რომელიც იყო ამა თუ იმ ძველ წყაროში, გაერკვიათ არა მხოლოდ ის როდის შეიქმნა წყარო და რამდენად შორსაა

აღწერილი მოვლენისგან, არამედ ეს ისტორია რამდენად შეესაბამება ,,დროის სულისკვეთებას". ამისთვის კაჩენოვსკის აზრით უნდა ინახოს წყაროს ცნობა რამდენად შეესაბამება იმას რაც იმ დროს ხდებოდა მეზობელ ქვეყნებში.

რუსული მატიანეების ცნობები კაჩენოვსკის აზრით გამოგონილ და ტყუილ ამბებს შეიცავს, თუ გავწმინდავთ ძველ რუსულ ისტორიას ყველა ზღაპრის და იგავისგან ის ნაცვლად რამდენიმე ტომისა 200-მდე ფურცელს დაიკავებს. ეს აზრი იყო გატარებული ნაშრომში ,,О баснословном времени в Российской истории" (1833) და საერთოდ ნამდვილი, ჭეშმარიტი რუსული ისტორია იწყება მხოლოდ XII-XIII საუკუნეებიდან.

მიუხედავად აშკარად ზედმეტი სკეპტიკური დამოკიდებულებისა ძველი რუსეთის წარსულთან დაკავშირებით ახალი მიდგომა პროდუქტიული აღმოჩნდა. კაჩენოვსკის გარშემო შეიქმნა მისი თანამოაზრეების მთელი წრე ე.წ. სკეპტიკური სკოლა. სლავისტი ო. ბოდიანსკი, არქეოგრაფი ი. ბერედნიკოვი და პ. სტროევი, არქეოლოგი ნ. მურზაკევიჩი და ა.შ. სკეპტიკოსები ეძებდნენ ისტორიული პროცესის ერთიან კანონებს, თავიანთ გამოკვლევებში ფართოდ იყენებდნენ შედარებით-ისტორიულ მეთოდს. კაჩენოვსკის თანამებრძოლები ახდენდნენ ისტორიული წყაროების თავისებურ იერარქიას, თვლიდნენ, რომ ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგა მატიანეთა წყაროები, ყველაზე უტყუარი მათი აზრით იყო მატერიალური (ნივთიერი) ძეგლები.

<u>მიხეილ პეტრეს ძე პოგოდინი (1800-1875).</u> 1835 წელს პოგოდინი სათავეში ჩაუდგა რუსული ისტორიის კათედრას შეცვალა რა ამ პოსტზე თავისი სამეცნიერო ოპონენტი კაჩენოვსკი. თავიდან თუმცა პოგოდინი დიდად აფასებდა კაჩენოვსკის გამოსვლებს ისტორიული კრიტიკის დარგში და ფრთხილად ეკიდებოდა კარამზინს, მაგრამ შემდეგ დაშორდა სკეპტიკოსებს. 1839 წელს გამოცემულ ნაშრომში ,,ნესტორი, ისტორიულ კრიტიკული მსჯელობა რუსული მატიანის დასაწყისზე". (Нестор. Историко-критическое рассуждение о начале русских летописей) მან უარყო სკეპტიკოსების ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება ძველი რუსული მატიანეების და ,,რუსკაია პრავდას" მიმართ.

მაგრამ რუსულ ისტორიოგრაფიაში პოგოდინი შევიდა პირველყოვლისა არა როგორც წყაროთმცოდნე არამედ როგორც უვაროვის ტრიადის მომხრე და ისტორიკოსი რომლის მთავარი იდეა იყო ის, რომ ,,რუსეთის ისტორია შეიძლება გახდეს საზოგადოებრივი სიმშვიდის დამცველი და მეთვალყურე" რამდენადაც ,,სლავები იყვნენ და არიან მშვიდი, წყნარი, მომთმენი ხალხი" და ისინი ,,მუდამ კმაყოფილი არიან თავიანთი ბედით".

1845 წელს პოგოდინმა შეკრიბა ყველა თავისი ისტორიული ნაშრომი და გამოსცა ისინი შვიდ ტომად საერთო სახელწოდებით ,,გამოკვლევები, შენიშვნები და ლექციები მიხეილ პოგოდინისა რუსეთის ისტორიის შესახებ". სამეცნიერო მუშაობის ასპექტში ისტორიკოსი გამოდიოდა ე.წ. ,,მათემატიკური მეთოდის" მომხრედ (ისტორიული ჭეშმარიტების დადგენა დამტკიცება მათემატიკური თეორემების მსგავსად). სინამდვილეში პოგოდინის მათემატიკური მეთოდი გამოირჩეოდა რამდენამდე პრიმიტიულობით. ის უბრალოდ იწერდა წყაროებიდან პარალელურ ადგილებს და უდარებდა ერთმანეთს ისე რომ არ აკეთებდა არანაირ განზოგადებას, დასკვნებს. პრინციპი ასეთი მიდგომის მდგომარეობდა იმაში, რომ ,,ისტორიკოსს არაფერი შეაქვს თავის მხრიდან ის უბრალოდ კრებს იმას რაც მოცემულია წყაროებში". უფრო მეტიც დაწყო რა მათემატიკური ანალიზი მკვლევარი მივიდა ისტორიული პროცესის სრული ირაციონალურობის აღიარებამდე, რომელშიც ყველაფერი წარმართულია განგებით (ბედისწერით).

პოგოდინის ისტორიული შეხედულებებისთვის დამახასიათებელი იყო რუსეთის დასავლეთთან შეპირისპირება. პირველი და მთავარი განსხვავება მათ განვითარებაში არის ის, რომ დასავლეთში სახელმწიფო ჩნდება დაპყრობების და ხალხთა ურთიერთბრძოლის შედეგად – გალების და ფრანკების, ბრიტების და ნორმანების, ესპანელების და ვესტგოტების და ა.შ.

რუსეთში სახელმწიფო გაჩნდა სახელმწიფო ხელისუფლების მატარებელთა ნებაყოფლობითი მოწვევით. ეს ..მოწვევა'' დაედო საფუძვლად სრულ თანხმობას და ხალხის მიერ ხელმწიფის თვითმპყრობელური ხელისუფლების აღიარებას. აქედან გამომდინარეობს პოგოდინის სხვა ანტითეზებიც, ქრისტიანობა დასავლეთში ხმლით იქნა შემოღებული, რუსეთში ჯვრით. დასავლეთში არისტოკრატიის პრივილეგიების გაუქმება მოხდა ,,შავების'' ამბოხების შედეგად, რუსეთში კი მეფის ნებით და ა.შ. ისტორიული წარსულის და თანამედროვე რუსეთის არსი პოგოდინის მიხედვით არის ,,სიყვარული და ერთიანობა'' ევროპაში ,,მტრობა და შუღლი''.

რუსეთის მთელი ისტრია პოგოდინთან კვლავ სახელმწიფოს ისტორიაა. სწავლული გამოდის ,,რუსი ხალხის მოხეტიალე ბუნების'' თეორიით, რომელიც მისი სიტყვებით ცხოვრობდა გაფანტულ მდგომარეობაში მკაცრ ბუნებრივ პირობებში. ამასთან მთავრები გადადიოდნენ რა ადგილიდან ადგილზე თან დაჰყავდათ ბოიარები და შემდეგ კი მომთაბარეობდნენ გლეხებიც. აქედან მოდის საზოგადოებრივი ურთიერთობების სისუსტე და სახელმწიფოს უდიდესი როლი, რომელიც საყოველთაო მოძრაობის პიროებებში რჩება ერთადერთ მოქმედ და მაორგანიზებელ ძალად საზოგადოებისა''.

რუსული ისტორიის პერიოდიზაცია რომელსაც იცავდა პოგოდინი გამომდინარეობს მისი ნაშრომებიდან. მისი წარმოდგენა შეიძლება შემდეგი სახით. ჯერ ერთი მეცნიერი გამოყოფდა ნორმანულ პერიოდს, რომლის მსვლელობისას ჯერ ჩამოყალიბდა მთავართა დინასტია, შემდეგ სადღაც იაროსლავ ბრძენის დროიდან ფორმირდება სახელმწიფო ინსტიტუტები ... შემდეგ მოდიოდა მამულების (უდელების) პერიოდი (იაროსლავის გარდაცვალებიდან მონღოლთა შემოსევამდე) როცა ერთი დინასტიის მთავრები იბრძოდნენ პირველობისთვის, შემდეგ დადგა მოსკოვის სახელმწიფოს გაჩენის დრო, შემდეგ გამოყოფს ევროპულ-რუსულ ეპოქას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა პეტრე I-ის მეფობას, ბოლოს ალექსანდრე I-დან ეს ევროპეიზაცია სრულდება ,,რუსეთის პირველობით ევროპაში''.

დიდ ყურადღებას პოგოდინი უთმობდა ისტორიული პიროვნებების დახასიათებას. ის უარს ამბობდა ივანე მრისხანის მეფობის გაყოფაზე ორ პერიოდად ოპრიჩნინამდე და მის შემდეგ, ჯამში ნეგატიურად იყო განწყობილი ივანე IV მიმართ, რომელშიც ხედავდა სუსტ პოლიტიკოსს რომელსაც არ ჰქონდა წარმოდგენა სახელმწიფოს ინტერესებზე. ორიგინალობით გამოირჩეოდა მისი შეხედულებები პეტრე I-ის მიმართ, რომლის რეფორმებს ისტორიკოსი აფასებდა როგორც ნახტომისებურ გამოვლენას რუსული განვითარების გზაზე და აქებდა მეფე-რეფორმატორს იმის გამო, რომ რჩებოდა რუსად, თუმცა უცხოელების დახმარებით განამტკიცა და გაანათლა რუსეთი.

<u>ნიკოლოზ გერასიმეს ძე უსტრიალოვი (1805-1870)</u> იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ავტორი ხუთტომეულის ,,რუსეთის ისტორია'' და ,,პანგირიკისა'' ,, იმპერატორ ნიკოლოზ I მეფობის ისტორიული მიმოხილვა'' 1858-64 წწ გამოიცა ფუნდამენტური ნაშრომი ,,პეტრე დიდის მეფობის ისტორია'' რომლის 6 ტომი შეიცავდა დიდი რაოდენობით სააარქივო მასალებს. გარდა ამისა მან მოამზადა გამოსაცემად ,,თქმულება მთავარ კურბსკზე'' ,,თანამედროვეთა თქმულებების ცრუდიმიტრიზე'' მისი მცდელობებით იქნა შედგენილი ორი მოკლე სახელმძღვანელო გიმნაზიისთვის და სასწავლებლებისთვის რომლითაც სწავლობდა ახალგაზრდობა 1860-იან წლებამდე. ისტორიის წერას უსტრიალოვი უდგებოდა პრაგმატული პოზიციიდან.